

ჰექსამეტრული სურათ-ხატი ლიტერატურაში (ინგა ბახტაძის „თვალთა მიღმა“)

გურანდა გობიანი

ქუთაისის უნივერსიტეტი
ელ. ფოსტა :gobianiguranda78@gmail.com
<https://doi.org/10.52340/lac.2023.30.08>

სულიერი არისტოკრატიზმი, ლირიკული ნაკადის სიჭარბე, თხრობის მუსიკალურობა, სიტყვაკაზმულობა, ფორმისა და იდეის მაქსიმალური სრულყოფილი თანხვედრა - ასეთი გახლავთ ევროპული ორენტაციის მწერლისა და ხელოვნებათმცოდნის - ინგა ბახტაძის შემოქმედებითი სამყარო, რომელში შეხვევის მოკრძალებულ მცდელობასაც წარმოადგენს წინამდებარე კვლევა. მის ტექსტებში, განსაკუთრებით ესეებსა და ნოველებში, სიტყვა და მუსიკა ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, ინტონაცია, რიტმულობა, ტემპი, რითმა, დინამიკა, პაუზები - უაღრესად მრავალხმოვანსა და მელოდიურს ხდის მის ღრმააზრობრივ ნარატივს, რომელშიც თანაბრად არის ჩართული მაკრო და მიკროსამყარო, მარადისობა და წარმავლობა, ადამიანური და ღვთაებრივი, ეგო და ალტერ ეგო, რაც მძაფრ შემოქმედებას ახდენს მკითხველის როგორც გონებაზე, ასევე გრძნობებზე. რიტმული პროზის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ესე - „თვალთა მიღმა (Ego-სა და alter ego-ს გათამაშება)“, ეს არის ლიტერატურული ნარკვევი, ეტიუდი, „პოეზიაში გადასული ხილული ფილოსოფია“, რომელიც აგებულია ჰექსამეტრული ლექსწყობის მსგავსი სტრუქტურით, რომელსაც ავტორი იყენებს როგორც ერთგვარ ინსტრუმენტს, სურათ-ხატს, იმაგოს გამოსახულებების შესაქმნელად.

საკვანძო სიტყვები: ჰექსამეტრული ელემენტები, იმაგო, რიტმული პროზა, პოეტურ-მუსიკალური მედიტაციები, დინამიური ნარატივი, ანტითეზი და ოქსიმორონი.

მწერალი მკითხველზე შემოქმედებას სწორად შერჩეული თხრობის ტექნიკის საშუალებით აღწევს, რასაც შესანიშნავად ახერხებს კულტუროლოგი, ხელოვნებათმცოდნე, მუსიკათმცოდნე, ისტორიკოსი, პედაგოგი და მწერალი ინგა ბახტაძე. მისი ტექნიკა, უპირველესად, პროზისა და პოეზიის სინთეზის მრავალფეროვან ვარიაციებს გულისხმობს, სადაც ღრმა ფილოსოფიურ-ზეაზრობრივი საკითხები პოეტურ-მუსიკალური მედიტაციების გზით ესთეტიკურ ღირებულებას იძენენ. სულიერი არისტოკრატიზმი, ლირიკული ნაკადის სიჭარბე, თხრობის მუსიკალურობა, სიტყვაკაზმულობა, ფორმისა და იდეის მაქსიმალური სრულყოფილი თანხვედრა - ასეთი გახლავთ ევროპული ორენტაციის მწერლისა და ხელოვნებათმცოდნის შემოქმედებითი სამყარო. როგორც პროფესორი დალი ბახტაძე აღნიშნავს, მის შრომებს აქვთ: „გამორჩეული შინაარსი, აზრის გადმოცემის დიდი

სიღმისეული დიაპაზონი, დამაჯერებელი, უაღრესად დამარწმუნებელი, თითქოსდა უმნიშვნელო, მაგრამ მეტად საჭირო დეტალებით გაჯერებული ფორმა”, რომელიც ცოცხალ სიტყვად, ნათელ და გამომეტყველ აზრად იქცევა [ბახტაძე დ, 2023:11]. ინგა ბახტაძის ტექსტებში, განსაკუთრებით ესეებსა და ნოველებში, სიტყვა და მუსიკა ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, ინტონაცია, რიტმულობა, ტემპი, რითმა, დინამიკა, პაუზები - უაღრესად მრავალხმოვანს და მელოდიურს ხდის მის ღრმააზრობრივ ნარატივს. პერსონაჟები მკითხველთან ერთად მიიკვლევენ გზას იდუმალი სამყაროს ლაბირინთებში ეგზისტენციალურ კითხვებზე პასუხების მოსაძიებლად.

მუსიკის ძლიერი შემოჭრა შემოქმედებით პროცესებში, განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა XX საუკუნის დასაწყისიდან. „შემოქმედებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცის ირაციონალურს, არაცნობიერს, ტრანსცენდენტალურს, მეტაფიზიკურს ...ქართულ პროზაში მომრავლდა ექსპერიმენტები, რომლებიც პროზისა და პოეზიის „შეჯვარებას“ ისახავდა მიზნად“ [ჯალიაშვილი მ, 2020]. ასეთი „შეჯვარებები“ საკმაოდ ხშირია ი.ბახტაძის მხატვრულ ტექსტებში. რიტმული პროზის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ესე - „თვალთა მიღმა (Ego-სა და alter ego-გათამაშება)“, „მეს“ და „ხანდაზმული მეს“, ცხოვრებისეული სიბრძნისა და ახალგაზ-რდული სიახლის „გათამაშება“. ესე შესულია ავტორის ნოველებისა და ესეების უახლეს კრებულში „თალხი პერანგი“ (თბილისი, 2023). ეს არის ლიტერატურული ნარკვევი, ეტიუდი, „პოეზიაში გადასული ხილული ფილოსოფია“ [დ. ბახტაძე], რომელიც აგებულია ჰექსამეტრული ლექსთწყობის მსგავსი სტრუქტურით.

ქართული მარცვალდამთვლელი ენაა, „ლექსთწყობის რეგულირებული სილაბიზმის ენა“ [აკ. ურუშაძე], ამდენად კლასიკური გაგებით ჰექსამეტრის, როგორც ლექსის მეტრული და რიტმული ფორმის გამოყენება ქართულისთვის უცხოა. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში („ახალი აღთქმის“ წიგნებში, „პროკოპის მარტვილობაში“, არეოპაგიტული ტრაქტატის სქოლიონის თარგმანსა და „ელინთა ზღაპრებში“) დღემდე მიგნებულია ანტიკური ეპოქის თხზულებებიდან მომდინარე ხუთი ჰექსამეტრული კარედის თარგმანები, ამათ დაემატა აკ. ურუშაძის მიერ მიგნებული ხუთი ჰეგზამეტრული კარედის თარგმანები, დარგის სპეციალისტებს ნათარგმნ კარედებზე დაკვირვება არწმუნებთ, რომ ძველ ქართველ მთარგმნელებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ერთი ენის ლექსთწყობის პირდაპირი გადმოღების შეუძლებლობა სხვა სისტემის ენის ვერსიფიკაციით, ამიტომ საჭირო იყო შესაბამისი ქართული საზომების შერჩევა. როგორც ლიტერატურათ-მცოდნე აკაკი ურუშაძე აღნიშნავს: „ეტყობა, ქართულმა ლექსმა, რომლის საფუძველიც რეგულირებული სილაბიზმია, ვერა და ვერ შეიგუა მისთვის უცხო კლასიკური მეტრული საზომები“ [ურუშაძე აკ, 1980:5].

ჰექსამეტრი უძველესი დროიდან ცნობილი ლექსის ფორმაა, ძველ ბერძნულ ლექსთწყობაში - ექვსმუხლიანი დაქტილური ტაეპი, რომელიც ყველაზე გავრცელებული

მეტრი იყო კლასიკურ პოეზიაში. სწორედ ამ საზომითაა დაწერილი ჰომეროსის „ოდისეა“ და „ილიადა“, ამიტომ მას ეპიკურ და გმირულ ლექსსაც უწოდებენ. არსებობს რამდენიმე ვარაუდი მის წარმოშობაზე. მითებით, ლექსის ეს ფორმა შექმნა ძველმა ბერძენმა ღმერთმა აპოლონმა, სინათლისა და ხელოვნების ღვთაებამ და დედამიწაზე გაავრცელა ღმერთი ფემონოეს ქალიშვილმა, დელფურმა პიტამ. მითიური წარმომავლობიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ თავდა-პირველად ჰექსამეტრი გამოიყენებოდა მხოლოდ წმინდა ტექსტებში, ხოლო მოგვიანებით, ის გადავიდა გმირულ პოეზიასა და ლექსების სხვა ტიპებში. რაც შეეხება რომაულ პოეზიას, იქ ჰექსამეტრი პირველად კვინტუს ენიუსმა [დ. ძვ. წ. 239 -გ. ძვ. წ. 169] შემოიტანა.

ზოგადად, თავისი ბუნებით, ეს პოეტური ფორმა შესაფერისია ისეთი ენებისთვის, როგორცაა ლათინური და ძველი ბერძნული, სადაც ხმოვანთა სიგრძეს ფონოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ინდოევროპული ენები მახვილმთვლელი ენებია, ყოველ ანბანურ ენას განასხვავებს მახვილი. ასეთ ენებში უმახვილო მარცვალი ცვალებადია, რაც ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი, რადგან ქართული ლექსი იზომება არა მახვილიანი გრძელი და მოკლე ხმოვნებით და უმახვილო მარცვალში ხმოვანთა გარდასახვით, არამედ მარცვალთა თანაბარი რაოდენობით და მარცვლის სრულყოფილი წაკითხვით, რაც ნიშნავს, რომ ყოველი ბგერა სიტყვაში სრულად წარმოითქმის, არ ხდება გარდასახვები. მახვილი არსებობს ენაში, მაგრამ არა დინამიური, არამედ შედარებით სუსტი, მას აქცენტი (AKZENT) ცვლის, ანუ ხმის ტონალობით (აღმავალი, დაღმავალი, მელოდიური) ხდება შინაარსობრივად და აზრობრივად მნიშველოვანის აღნიშვნა და გამოკვეთა.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ხალხს რიტმის თავისებური შეგრძნება აქვს, რაც გამოვლინებას პოულობს შემოქმედების თითქმის ყველა სფეროში: ენაში, მუსიკაში, ქორეოგრაფიაში, ლიტერატურაში. მაგალითად, დაქტილური ჰეგზამეტრის წარმოშობის ისტორია პანტელეიმონ ბერამემ ქართული ცეკვისა და სიმღერის რიტმსაც კი დაუკავშირა, რითაც ქართული ლექსის ბერძნულთან მჭიდრო კავშირზე მიანიშნა. ტემპერამენტი, კეთილხმოვანება, მუსიკალურობა, ინტონაციურობა ძალიან მკვეთრად და ძალუმად იკვეთება ინგა ბახტაძის ღრმააზრობრივ შემოქმედებით ნაკადში, განსაკუთრებით მის ფილოსოფიურ ესეში - „თვალთა მიღმა (Ego-სა და alter ego -ს გათამაშება)“, რომელიც დაწერილია, სწორედ, დაქტილური ჰექსამეტრული ლექსწყობის მსგავსი სტრუქტურით. ბუნებრივია, ეს საზომი კლასიკური ფრომით არ არის გამოყენებული. ბახტაძეს ინდოევროპული ჰექსამეტრის მხოლოდ ელემენტები აქვს აღებული და შერწყმული ქართულთან, რითაც აღწევს შესაშურ ეფექტს, როგორც ფორმის, ასევე შინაარსით. ჰექსამეტრს ავტორი იყენებს როგორც ინსტრუმენტს გამოსახულების შესაქმნელად. ნაწარმოები იყოფა ფრაგმენტებად, სცენებად (სულ სამი სცენაა) და სრულდება ეპილოგი-ეპიტაფიით. აზრი, მნიშვნელობა გადადის ერთი

სტრიქონიდან მეორეზე, რაც, ზოგადად, დამახასიათებელია ჰექსამეტრული ლექსწყობისთვის და ქმნის ერთგვარ დინამიურ ნარატივს:

„Alter ego - მრუმე სივრცეში დაინახავდი ტენატოს -სახეს
სიკვდილის.“

„Alter ego - სიცოცხლით სავსე საჭურჭლე ამდენსავე სიკვდილს
დაიტევს “

„ Ego - სილამაზეს ვეთაყვანები, ყოველისშემძლე ძეგლებს
ავუგებ !

Alter ego - სიმახინჯეს ნუ აწყენინებ, შურს იძიებს, ძეგლებს

დაგინგრევს [ბახტაძე,2023:327-328]

ი. ბახტაძეს ლექსწყობის სტრუქტურით გაწყობილ ესეში მახვილების მაგივრად გამოყენებული აქვს გარკვეული ტონალობები, ინტონაციები, რომლებიც უახლოვდება ჰექსამეტრული ცენზურის დატვირთვას კლასიკურ ინდოევროპულ ენებში, რაც გულისხმობს შესვენებას სიტყვებს შორს. თუმცა, ი. ბახტაძესთან „შესვენება“ უფრო მეტად „სულის მოთქმას“ ნიშნავს და არა პაუზას, რომელიც გარკვეული გრძნობების, განცდების, ემოციების აქცენტირებას ახდენს და ღრმა შინაარსობრივ და აზრობრივი დატვირთვას ატარებს ტექსტში. დაქტილური ჰექსამეტრის რიტმის გადმოსაცემად მწერალი იყენებს სხვადასხვა მარცვლიან ლექსებს. პაექრობა Ego-სა და Alter ego-ს შორის მიმდინარეობს 10, 12, 14, 16,18 და 20-მარცვლიანი სტრიქონების „გათამაშებით“, რაც შთამბეჭდავს და დინამიურს ხდის თხრობას. ტაქტებსა და სტროფებს შორის მარცვალთა რაოდენობის მონაცვლეობა მეტ გამომსახველობას და დამაჯერებლობას სძენს დიალოგს და ფილოსოფიურ ჭრილში გადაჰყავს დისკურსი. მაგალითისთვის:

„ Ego - მაგრამ ზენიტი ხომ ყოფილა, უარჰყოფ განა?

2 3 1 3 3 2

Alter ego-ჰო, მხოლოდ ერთხელ, რადგან ზენიტზე ორჯერ ვერ

1 2 2 2 3 2 1

ახვალ

2

პირველის შემდეგ ჩამოვარდნილი, დაიღუპები. და თუ

3 2 5 5 1 1

არა,

2

ხეიბარი ხომ მაინც იქნები!

4 1 2 3

ხეიბარი კი ღოღვით სად წავა? “

4 1 2 1 2

[ბახტაძე ი. 2023: 329]

არისტოკრატიული სტილის შესანარჩუნებლად, გარდა დაქტილური ჰექსამეტრის ელემენტებისა, ინგა ბახტაძე იყენებს აგრეთვე კლასიკური ბერძნული სტილისტიკისთვის დამახასიათებელ ისეთ რიტორიკულ ხერხებს, სტილურ ფიგურებს, როგორცაა ოქსიმორონი (oxymoron) და ანტითეზი (antithesis). მთლიანი ტექსტი აგებულია წინააღმდეგობის პრინციპზე: ეროსი vs ტონატო; სიკვდილის ინსტიქტი vs სახე სიკვდილის; სიყვარული vs სიძულვი; სილამაზე vs სიმახინჯე; მზე vs მთვარე - ეს მარტივი ანტონიმური წინააღმდეგობა არ არის. რიტორიკული ფიგურა ანტითეზი ორ წინააღმდეგობრივ ერთეულს ლოგიკურად უპირისპირებს ერთმანეთს, ისე , რომ იქმნება ზეაზრობრივი, დაუსახელებელი ცნებითი სურათ-ხატი. მეორე რიტორიკული ფიგურა - ოქსიმორონი ემყარება ერთმანეთთან „შეუთავსებელ“, ურთიერთგამომ-რიცხავ ცნებათა დაკავშირებას, კონტრასტული ნიშნის გადატანას, რითაც ახალი ცნება ან ახალი წარმოდგენა იქმნება (მაგ: ლარნაკი დაუმსხვრეველი). ადამიანის „თვალთა მიღმა“ არსებული ეგოსა და ალტერ ეგოს, როგორც თეზასა და ანტითეზას შორის მარადიული დაპირისპირება, წარმოქმნის ერთგვარ სინთეზს, რომელიც გამოხატავს, სწორედ, ავტორის ფილოსოფიურ მრწამს ტრანსცენდენტური, მიღმიური სამყაროს არსებობაზე, სადაც მუდმივი ჭიდილია ცნობიერსა და არაცნობიერს, იდეალურს და მატერიალურს, სიყვარულსა და სიძულვილს, სილამაზესა და სიმახინჯეს შორის. სწორედ ამ ჭიდილის და ჭეშმარიტების გზის ძიების დინამიკაა მოცემული ლექსწყობის სისტემით გაწყობილ მხატვრულ-ფილოსოფიურ ესეში - „თვალთა მიღმა (Ego-სა და alter ego -ს გათამაშება)“. ყოველი პიროვნება მესა და გარესამყაროზეა ორიენტირებული და ეს ის კონტინუუმია (ეგოს მუდმივი განვითარებაა), რომლის გასწვრივაც ლაგდება ღირებულებათა სისტემა და მოქმედების ძირითადი ჩარჩო. ეგოს განვითარების პროცესში გარკვეული პერიოდულობით, ხდება თვისებრივი ცვლილებები. ინდივიდი მუდმივად ეჯახება საკუთარ ღირებულებათა სისტემასთან არათავსებად ფენომენებს, შესაბამისად, შეუსაბამობებს შეუძლიათ წონასწორობის რღვევა და წინააღმდეგობების გაჩენა საკუთარ მესთან, რაც ხელს უწყობს ეგოს განვითარების შედარებით მაღალ დონეებზე გადანაცვლებას. „მეს“ დარღვეული წონასწორობა და დისბალანსი „მეორე მესთან“ ძალიან კარგად იკვეთება სტილისტიკური ხერხის, ანტითეზით ესეს პირველ სცენაში, სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან საპირისპირო შინაარსის ცნებები, ფრაზები, პოზიციები, დამოკიდებულებები, ემოციები. მათი კონტრასტი, საბოლოო ჯამში, ქმნის გარკვეულ ექსპრესიულ სიუჟეტურ რკალს.

Ego - მე დავთვლი სიკვდილს!

Alter ego - მაშინ სიცოცხლედ გადაითვალე, რადგან

სიცოცხლით სავსე საჭურჭლე ამდენსავე სიკვდილს

დაიტევს.

Ego - სიყვარულის დიად მეჯლისს სტროფებს მივუძღვნი!

Alter ego - სიძულვილს უხმე, მიმალულს იქვე,
სიყვარულთან რომ მოსწონს ფერხული.

Ego - სილამაზეს ვეთაყვანები, ყოვლისშემძლე ძეგლებს
ავუგებ!

Alter ego - სიმახინჯებს ნუ აწყენინებ, შურს იძიებს, ძეგლებს
დაგინგრევს.

მეორე სცენაში, როგორც ესეც განმავითარებელ ნაწილში, ორივე მხარე ცდილობს არგუმენტირებული მსჯელობით და მტკიცებულებების მოშველიებით დაასაბუთონ თავიანთი პოზიციები და კითხვა-პასუხის რეჟიმით მივიდნენ ჭეშმარიტებამდე: Alter ego - ნეტა ხანგრძლივად ზენიტზე დგომა თუ შეძლება

ოდესმე ვინმეს?

Ego - მაგრამ ზენიტი ხომ ყოფილა უარყოფ განა?

Alter ego - ჰო, მხოლოდ ერთხელ, რადგან ზენიტზე ორჯერ ვერ
ახვალ.

Ego - ვითომ ის ერთიც არ კმარა ჩვენთვის?

დედამიწას რომ გადმოხედო ღრუბლებიდან თუნდაც
ერთხელ

უზენაეს ნეტარებად არ ღირს განა?

Alter ego - სიმაღლეს ვერ გრძნობ ვიდრე ძირს არ დაეშვები

ხელმოცარული, მარტოდშთენილი, აპოთეოზზე

ფეხშედეგმული.

აზრთა ჭიდილში იბადება მთავარი კითხვა კაცობრიობის არსებობის, „მაშ სადღაა გამოსავალ, რა გზაა იგი?“, რა არის ის ძალა, რომელსაც ძალუმს „თვალთა მიღმა მიჩქმალულის“ დანახვა. იდუმალი, მეორეული ხმის პასუხი ერთია - იმას, რასაც ადამიანის თვალი, გული და გონება ვერ წვდება, სული წვდება. მხოლოდ მას შესწევს უნარი შეიგრძნოს მთელი არსებით სამყაროს მთლიანობა, „ნების თავისუფლება“ (ნიკოლაი ლოსკი), „არსებულის საპირისპირო, რაიც არა ჩანს, მაგრამ თან ერწყმის ყოველივეს თვალთა საჩინოს“ [ზახტაძე ი. 2023:330]. მაგრამ ადამიანის ცნობიერ არსს მაინც არ სურს გაურკვევლობაში დარჩენა და ორი კერპის მსახურება, ის ხილულ სამყაროს, სიცოცხლეს ირჩევს, ამქვეყნიურ დიდებას: „მზე, სილამაზე, სიხარული, აღტაცება კერპად დამითქვამს“ და მზად არის ამისთვის „იმ გრძნეულმა სულმა“ თუნდაც დაბეჩავება აღუთქვას.

ტექსტი მთავრდება ეპილოგი-ეპიტაფიით. როგორც ფილოსოფოსი და პოეტი ზურაბ ხასაია აღნიშნავს: „შემეცნებანი თავიდან აშფოეთებს და აფორიაქებს სულს. მაგრამ მერე და

მერე ამშვიდებს მას მაღალი, ინტელექტუალური სიმშვიდით“ (ბახტაძე ი. 2023:15). სწორედ ეს პროცესია გადმოცემული ესეში. შემეცნება, ჭეშმარიტების არსში წვდომა, „მეს“ ტრანსფორმაცია, სულის დისჰარმონია და უნივერსალური ჰარმონია და სინანული. ავტორი, ჩვეული მოქნილი, დახვეწილი, ოსტატურად გამართული ენით, ინტონაციით, რიტმით, შინაგანი რითმებითა და კლასიკური არისტოკრატიული სტილით გაწყობილი ლექსით/სიტყვით, მიმართავს სულიერებისგან დაცლილ ადამიანთა მოდგმას, „კაენისებრ მოწრიალე კაცისშობილთ“ და არგუმენტების დაპირისპირებისა და აზრთა ჭიდილის გზით მიდის კონკრეტულ დასკვნამდე:

„ - ჰოი მხევალო სიცოცხლისა, კაენისებრ მოწრიალე
კაცისშობილო,
შენ განარისხე ჭეშმარიტება, როს არ შეიცან საპირისპირო,
და როს უარჰყავს თვალთა მიღმა არსებული, გადასროლილი,
ზიარების მაღლს მოკლებულსა, გოლგოთად გექცა
წუთისოფელი“ [ბახტაძე ი. 2023:331].

ლექსწყობის სისტემით დაწერილ ამ მხატვრულ-ფილოსოფიურ ესეში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰექსამეტრი არ არის გამოყენებული კლასიკური ფორმით. ის ხელოვნურად არის შექმნილი და იმიტირებული ავტორის მიერ და წარმოადგენს ერთგვარ სურათ-ხატს, იმაგოს, რომელსაც ოსტატურად იყენებს მწერალი მხატვრული ეფექტისა და გამოხატულების შესაქმნელად. ინგა ბახტაძე, როგორც ევროპული ორიენტაციის მწერალი და ხელოვნებათმცოდნე, შესანიშნავად ახერხებს კლასიკური ევროპული სალიტერატურო სკოლის ესთეტიკური პრინციპებისა და მეთოდების მორგებასა და შერწყმას ქართული ენის უძველეს ლექსიკასა და ენობრივ წყობასთან. ამიტომაც არის, რომ მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ძალით შეიგრძნობა ქართული ენის თვითმყოფადობა და უნიკალურობა, რაც აუცილებლად განსაზღვრავს მომვალში ინგა ბახტაძის კუთვნილ როლსა და ადგილს ქართულ, და არა მხოლოს ქართულ, კულტურაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში. მოხარული ვიქნებით თუ ჩვენი მოკრძალებული ნაშორმით მცირედ წვლილს მაინც შევიტანთ ამ დიდი და საპასუხისმგებლო საქმეში.

ლიტერატურა :

1. ბერაძე პ., -ჰეგზამეტრი და გრძელი შაირის ლექსი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო. თბილისი. N20, 16 მაისი, 1942
2. ბერაძე პ., - ძველბერძნული და ქართული ლექსწყობის საკითხები. თსუ გამომცემლობა. თბილისი, 1969
3. ბერაძე პ.,- ჰეგზამეტრის გენეზისისათვის, ჟურნალი „მნათობი“. თბილისი. N7. 1948

4. ზახტაძე ი., - თალხი პერანგი, ნოველები , ესეები. 2023. 351გვ.
5. ზახტაძე დ., - სამაგალითო ერუდიტი, ჟურნალი „ქართველოლოგია“, 2023 , გვ. 13
6. ურუშაძე აკ., - ბერძნულ რომაული და ქართული მეტრიკის საკითხები. თბილისი. 1980, 142 გვ.
7. ჯალიაშვილი მ., - პროზის მუსიკა . 2020 (<https://mastsavlebeli.ge/?p=28171>)
8. ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში <http://dictionary.css.ge/content/ego>

Guranda Gobiani
Kutaisi University

Hexametric Images in Literature
(“Behind the Eyes” by Inga Bakhtadze)

Abstract

Spiritual aristocracy, excess of lyrical flow, musicality of narration, ‘fine’ writing, ultimately perfect harmony of form and idea – this is the creative world of Inga Bakhtadze, a writer and art critic of the European orientation, which the present study is a modest attempt to penetrate into. In her texts, especially in the essays and novels, words and music are harmoniously combined, intonation, rhythm, tempo, rhythm, dynamics, and pauses - make her profound narrative extremely polyphonic and melodious, in which the macro and micro world, the eternity and transience, the human and divine, the ego and alter ego are equally included, which have a profound effect on both the mind and the senses of the reader. From the point of view of rhythmic prose, the essay “Behind the Eyes (Playing of Ego and Alter Ego)” particularly attracts our attention, which is included in the author's latest collection of novels and essays, “A Dark Shirt” (Tbilisi, 2023). It is a literary essay, etude, “visible philosophy passed into poetry“, which is built with a structure similar to hexameter verse. Georgian is a syllabic language, so the use of hexameter in the classical sense as a metrical and rhythmic form of verse is foreign to Georgian. In general, by its very nature, this poetic form is suitable for languages such as Latin and Ancient Greek, where vowel length has phonological significance. Indo-European languages are stress-timed languages, each alphabetic language is distinguished by a stress. In such languages, unstressed syllables are variable, which is not typical of Georgian, since Georgian verse is measured not by long and short stressed syllables, but by an equal number of syllables, which means that every sound in the language is fully pronounced, there are no transitions. The stress exists in the language, but it is not dynamic, but relatively weak, it is replaced by the accent, i.e. the tone of the voice (ascending, descending, melodic) is used to mark and outline something significant in terms of content and meaning.

Naturally, this measure in its classical form is not found in Bakhtadze's work, either. She has only taken elements of the Indo-European hexameter and combined them with the Georgian one, thus achieving a truly enviable effect, both in terms of form and content. The author uses a hexameter as a tool to create an image. The work is divided into fragments, scenes (there are three scenes in total) and ends with an epilogue-epitaph. The meaning, the content passes from one line to another, which is generally characteristic of hexameter verse and creates a kind of dynamic narrative:

In I. Bakhtadze's essay outlined with a rhyming structure, certain tones, intonations are used instead of stress, which are close to the load of hexametric caesura in classical Indo-European languages,

which implies a break between words. The writer uses verses with different syllables to convey the rhythm of the dactylic hexameter. The debate between the Ego and the Alter ego takes place with a “playing” of 10, 12, 14, 16, 18 and 20-syllable lines, which makes the narrative impressive and dynamic.

In order to preserve the aristocratic style, in addition to the elements of dactylic hexameter, Inga Bakhtadze also uses such rhetorical techniques characteristic of classical Greek stylistics and literary figures as oxymoron and antithesis. The whole text is built on the principle of contradiction. The eternal confrontation between the ego and the alter ego, which exists “behind the eyes” of a person, as a thesis and an antithesis, creates a kind of synthesis, which expresses the author's philosophical belief about the existence of a transcendental world, where there is a constant struggle between the conscious and the unconscious, the ideal and the material, between love and hate, beauty and ugliness. It is the dynamics of this struggle and the search for the path of truth that is given in the artistic-philosophical essay– “Behind the Eyes (Playing of Ego and Alter Ego)” outlined with a rhyming system.

The hexametric verse meter is artificially created and imitated by the author and represents a kind of image, an imago, skilfully used by the writer to create artistic effect and expression. Inga Bakhtadze, as a writer and art critic of the European orientation, can perfectly adapt and combine the aesthetic principles and methods of the classical European literary school with the ancient vocabulary and linguistic structure of the Georgian language. That is why in her work one can vividly feel the individuality and uniqueness of the Georgian language, which will definitely determine the future role and place of Inga Bakhtadze in Georgian culture, art and literature, and not only here. We will be happy if we can make at least a small contribution to this great deed.